



## საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული სატყეო სააგენტო



KA010105096706019

ქ. თბილისი, 0114, გ. გულუას ქ N6, ტელ: +995 (32) 2753959

№ 08/14787

16 / ოქტომბერი / 2019 წ.

კომპანია „შილდი“-ის დირექტორს  
ბატონ მედგარ გავაშელს

ბატონო მედგარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2019 წლის სექტემბრის თვეში კომპანია „შილდი“-ის წარმომადგენლებისა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელდა პრეპარატი „შილდის“-ის (10%-იანი ხსნარი) გამოცდა, კომპანიის წარმომადგენლების მიერ შერჩეული დოზებითა და მეთოდოლოგიით (მ.შ. შესხურების ტექნიკა). თავდაპირველად პრეპარატის გამოცდა მოხდა სატყეო სააგენტოს სათაო ოფისის მიმდებარე (ორთაჭალა) ტერიტორიაზე. საექსპერიმენტოდ გამოყენებული იქნა მბეჭდავი ქერქიჭამიას ზრდასრული ხოჭოები და მატლები, ასევე ნაძვის კოტრი, რომლის ქერქის ქვეშ იმყოფებოდნენ მბეჭდავი ქერქიჭამიას მატლები და ზრდასრული ხოჭოები, ასევე პენიანების წარმომადგენელთა მატლები. პრეპარატის გამოცდა მოხდა ასევე ბზის ალურას ბოლო ხნოვანების მატლებზე, აბლაბუდაში გახვეულ ჭუპრებსა და ახალგაზრდა ხნოვანების მატლის სტადიებზე. წარმოგიდგინებ პრეპარატის გამოცდის შედეგებს დანართის სახით.

იხ. დანართი ელ. ვერსია.

პატივისცემით,

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

არჩილ ნიკოლეიშვილი

## პრეპარატი „შილდი“-ის ეფექტურობის გამოცდა

ანგარიში

11.10.2019

პრეპარატი „შილდის“-ის (10%-იანი ხსნარი) გამოცდა განხორციელდა კომპანიის წარმომადგენლებისა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სპციალისტების მიერ, კომპანიის წარმომადგენლების მიერ შერჩეული დოზებითა და მეთოდოლოგიით (მ.შ. შესხურების ტექნიკა), 2019 წლის სექტემბრის თვეში. თავდაპირველად პრეპარატის გამოცდა მოხდა სატყეო სააგენტოს სათაო ოფისის მიმდებარე (ორთაჭალა) ტერიტორიაზე. საექსპერიმენტოდ გამოყენებული იქნა მბეჭდავი ქერქიჭამიას ზრდასრული ხოჭოები და მატლები, ასევე ნაძვის კოტრი, რომლის ქერქის ქვეშ იმყოფებოდნენ მბეჭდავი ქერქიჭამიას მატლები და ზრდასრული ხოჭოები, ასევე პეწიანების წარმომადგენელთა მატლები. პრეპარატის გამოცდა მოხდა ასევე ბზის ალურას ბოლო ხნოვანების მატლებზე, აბლაბუდაში გახვეულ ჭუპრებსა და ახალგაზრდა ხნოვანების მატლის სტადიებზე. შედეგად ყველა ის სტადია, რომელიც დაუცველი იყო და სხეულზე მოხდა პრეპარატი - დაიხოცა. ხოლო, ისინი, რომლებიც დაცული იყვნენ ქერქით (ქერქის ქვეშ) ან აბლაბუდის კაფსულით (გარშემო ფოთლებით) - გადაარჩნენ. ამასთან დამატებით მოხდა ასევე პრეპარატის მოქმედების ვადის გამოცდაც, კერძოდ: პრეპარატით შეწამლულ ბზის ფოთლებზე 1 კვირის შუალედით დასმული იქნა ბზის ალურას მატლი, თუმცა ასეთი ფოთლებით გამოკვების შედეგად მატლები არ დაიხოცნენ.

გარდა ზემოხსენებული დაკვირვებისა, პრეპარატის უფრო სრულყოფილი გამოცდისთვის განხორციელდა საველე გამოცდაც.

ბორჯომის ნაძვნარებში ე.წ. პლატოს ტერიტორიაზე განხორციელებული ექსპერიმენტი: საექსპერიმენტოდ აღებული იქნა 10 ნაძვის ხე, აქედან ერთ ეგზემპლარზე შემოხვეული იქნა სპეციალურად შერჩეული ნაჭერი (ჯვალო). ათივე საექსპერიმენტო ხე შეწამლული იქნა ნიადაგიდან 3-4 მ სიმაღლეზე, ძლიერი წნევის მქონე სოლო აპარატის შესხურებით (სპრეი). მეორე დღეს შედეგების შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ერთ ხეზე, რომელზეც ნაჭერი იყო შემოხვეული, ნანახი იქნა გამოსაფრენი ხვრელებიდან გამოსული ზრდასრული ხოჭოები - დახოცილები. ამავე ხეზე ქერქის აცლისას ქერქის ქვეშ და მერქანზე ნანახი იქნა როგორც დახოცილი, ისე გადარჩენილებიც (მატლის ჭუპრისა და ზრდასრულის სტადიები). დანარჩენ 9 ცალ ხეზეც მოხდა ქერქის აცლა, რომლის შედეგადაც ნანახი იქნა იგივე სურათი - ნაწილი ხოჭოებისა დახოცილი იყო, ნაწილი კი გადარჩენილი. გარდა ზემოხსენებულისა, გადარჩენილი ხოჭოები და მატლები დასმული იქნა ასევე წინა დღეს შეწამლულ ნაჭერზე, მზის ქვეშ, რათა გვენახა თუ იმოქმედებდა პრეპარატი ხოჭოებსა და მატლებზე წინა დღით შეწამლულ ნაჭერზე შეხებისას. 30 წუთის შემდეგ დადგინდა, რომ ხოჭოებიც და მატლებიც დაიხოცნენ.

შედეგი და დასკვნა: ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაში თუ პრეპარატი „შილდი“ შესხურებისას მოხვდება მავნებელი მწერის ნებისმიერ სტადიას (ლარვა, ჭუპრი, ზრდასრული ხოჭო) სხეულზე - ეფექტურობა მაღალია. პრეპარატის ზემოქმედება მეორე დღესაც გრძელდება, თუმცა არაეფექტურია წამლობიდან მე-5 დღეს (მე-5 დღეს კვლავ დავსვით მბეჭდავი ქერქიჭამიას ხოჭოები და მატლები შეწამლულ ნაჭერზე და არ დახოცილან). არაეფექტურია ასევე ქერქსა და მერქანს შორის მყოფი მწერის ნებისმიერ სტადიაზე, იმ მონაკვეთებში, სადაც ქერქზე არაა გამოსაფრენი ხვრელები და შესაბამისად პრეპარატი არ მოხვდა შიგნით. ეფექტურია იმ შემთხვევაში თუ ძლიერი წნევით მოხდება ქერქზე არსებული ხვრელების მიზანმიმართული-წერტილოვანი შესხურება და პრეპარატი შეაღწევს ხვრელის შიგნით არსებულ სასვლელებში მყოფი მავნებლის სხვადასხვა სტადიებამდე.

ტყიბულის რაიონში სოფ. მუხურის გზაზე არსებულ ბზის კორომებში განხორციელებული ექსპერიმენტი: შესაწამლად შერჩეული იქნა სხვადასხვა სიდიდის ბუჩქები, რომელზეც ფიქსირდებოდნენ გამოსაზამთრებლად აბლაბუდას „კაფსულაში“ დამალული ახალგაზრდა ხნოვანების (2-3) მატლები. წამლობა აქაც განხორციელდა ძლიერი წნევის მქონე სოლო აპარატის გამოყენებით (სპრეი).

შედეგი და დასკვნა: 30 წუთის გასვლისას, დადგინდა, რომ ყველა ზემოხსენებულ კაფსულაში, რომლებიც გარედან დამატებით დაცულები იყვნენ ბზის ფოთლებით (აბლაბუდის კაფსულა უმეტესად 2 ან 3 ფოთოლს შორისაა), ბზის ალურას მატლები არ დახოცილან, რაც ნიშნავს, რომ ამ

მიზნით პრეპარატის გამოყენება არაა ეფექტური. ექსპერიმენტის მიზნით, ფოთლებს შორის მოქცეულ აბლაბუდის კაფსულას ერთი ფოთოლი მოვაშორეთ და შევწამლეთ, ასეთ შემთხვევაში, დასველდა თუ არა აბლაბუდა პრეპარატით და შესაბამისად კანზეც მოხვდა შიგნით დამალულ მატლს, მავნებელი მალევე მოკვდა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პრეპარატის ეფექტურობას მწერის სხეულზე მოხვედრისას.